

კონკურსში „განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა ინტეგრირებული კონცერტების, გამოფენების, დადგმების ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტები

- ა(ა)იპ „მშობელთა ხიდი“ - პროექტი „პარაორკესტრი“ - 14 ივნისს თბილისში გაიმართება შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ჯაზ-კონცერტი 50-მდე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდის მონაწილეობით.
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლი - პროექტი „ხარაგაულის ხალხური შემოქმედების სახლი შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის“ - ხარაგაულში 80-მდე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირის ჩართულობით გაზაფხულზე და შემოდგომაზე გაიმართება ინტეგრირებული კონცერტები და გამოფენები.
- ა(ა)იპ „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“ - პროექტი „ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი“ სპექტაკლით „კაცია ადამიანი?!“ - ივნისში ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში შედგება პრემიერა ინტეგრირებული სპექტაკლისა „კაცია - ადამიანი?!“. სპექტაკლში მონაწილეობს 16 განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი.
- შპს „საბავშვო თეატრი მეორე სახლი - 2“ - პროექტი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ - მაისის თვეში კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მცირე სცენაზე (სხვენი) შედგება სპექტაკლის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პრემიერა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მონაწილეობით.
- ინდივიდუალური მეწარმე სოფიო შონია - პროექტი „ცისარტყელას ფერები“ - თბილისის 21-ე საჯარო სკოლაში მოეწყობა 24-მდე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მიერ თიხისა და თექისგან შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.
- ა(ა)იპ ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი - პროექტი „შშმ პირთა ინტეგრირებული საგანმანათლებლო კურსები და ინკლუზიური კულტურული ფესტივალი ქუთაისში“ - 15-30 ივლისს ქუთაისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ფესტივალი. საფესტივალო დღეებში წარმოდგენილი იქნება პერფომანსი, გაიმართება 2 კონცერტი (ვოკალური და ქორეოგრაფიული), მოეწყობა გამოფენა, ნაჩვენები იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შშმ პირთა ცხოვრება თანამედროვე ქუთაისში“. პროექტის განხორციელებაში ჩართული იქნება 14 განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდი.
- ა(ა)იპ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ პროექტი - „ერთად ერთმანეთისთვის“ - მარნეულის კულტურის ცენტრში 14 ივნისს გაიმართება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა მონაწილეობით ინტეგრირებული კონცერტი-პერფომანსი და მოეწყობა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.
- ა(ა)იპ ხელოვნების ცენტრი „ფოლიანტი“ - პროექტი „მზერა სხივებთან შეხებისას“ - 15-28 მაისს თბილისში, ევროპის სახლში გაიმართება გამოფენა-პერფომანსი მცირემხედველი პირების მონაწილეობით. წარმოდგენილი კონცეპტუალური

მხატვრული ობიექტები, ინსტალაციები გათვლილი იქნება სინათლის, შეხების და ხმოვან ეფექტებზე.

- ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი „თუთა“ - პროექტი „თუთა“ შშმ პირთა ინტეგრაციისთვის“ - განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს შეასწავლიან ხალიჩების, ფარდაგების ქსოვას, ასევე ქარგვას და ოქტომბრის თვეში, ასპინძაში, მოეწყობა მათი ნამუშევრების გამოფენა